



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 07

ქ. ბათუმი

05 ოქტომბერი, 2018 წ.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N08 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-10, 23-24-ე მუხლების, „ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციის შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 თებერვლის N01 გადაწყვეტილების, „2018-2019 სასწავლო წლიდან ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 21 აგვისტოს №104 ბრძანების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საბჭოს და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 24 სექტემბრის სხდომების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N2 გადაწყვეტილების და წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე წარმომადგენლობითმა საბჭომ

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

1. ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის და დამხმარე სტრუქტურული ერთეულის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით შეტანილი იქნეს ცვლილებები ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის N08 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ბსუ-ს ორგანიზაციულ სტრუქტურაში და დამტკიცდეს ახალი რედაქციით დანართის შესაბამისად (დანართი 1).
2. წინამდებარე გადაწყვეტილებით დამტკიცებული სტრუქტურა ძალაშია: ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის და იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ნაწილში 2018 წლის 24 სექტემბრიდან, ხოლო „პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის“ ნაწილში 2018 წლის 15 ოქტომბრიდან.

3. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
4. გადაწყვეტილება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს და სტრუქტურულ ერთეულებს.
5. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი,
პროფესორი**

დ. ბარათაშვილი

აკადემიური საბჭო

რექტორი

წარმომადგენლობითი საბჭო

აკადემიური საბჭოს
სამდივნო

რექტორის
აპარატი

წარმომადგენლობითი საბჭოს
სამდივნო

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამდივნო

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატი

რექტორის მოადგილე

რექტორის მოადგილე

ფაკულტეტები

ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ტურიზმის ფაკულტეტი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი

ტექნოლოგიური ფაკულტეტი

დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები

აგრარულ და მემბრანულ ტექნოლოგიათა ინსტიტუტი

ფიტოპათოლოგიის და მვენარეთა დაცვის ინსტიტუტი

ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

ბიბლიოთეკა

სამეცნიერო კვლევების სამსახური

სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი

სტომატოლოგიური კლინიკა „ბსუ დენტო“

სამრეწველო ლაბორატორია „ფაბ-ლაბი“

საგამოცდო ცენტრი

პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი

სასწავლო პროცესის დეპარტამენტი

დიპლომების გაცემისა და რექსტრის სამსახური

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

კულტურისა და სპორტს განყოფილება

სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილება

სტუდენტთა ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილება

კანცელარია

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური

საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი

იურიდიული დეპარტამენტი

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური

გამომცემლობა

შესყიდვების სამსახური

აღრიცხვა-ანგარიშების სამსახური (ბუღალტერია)

დაცვისა და უსაფრთხოების ანაყოფილება

დასუფთავების განყოფილება

უნივერსიტეტის საერთო სააბიჯობილო